



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის



ოქმი № 04

2020 წელი 11 მარტი

ქ. ბაღდათი

12:00 საათი

2020 წლის 11 მარტი შედგა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ნოდარი გიორგიძე, გია სახამბერიძე, ირინა ტყეშელაშვილი, სიმონ ჭოლოკავა, ფრიდონ მაჩიტაძე, გაბრიელ ღებრაძე, გურამი კვიციანი, გვანცა გრძელიძე, მათა კვიციანი.

არ ესწრებოდა: შალვა მშვილდაძე გიორგი რობაქიძე, მამუკა გორგოძე.

მუნიციპალიტეტის მერიიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი

მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი
საკრებულოს აპარატის უფროსი ნოდარ ებანიძე და აპარატის თანამშრომლები.

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა: ნოდარ გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებლად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ.

მომხს. კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ წითელხევში 30.13.34.412 საკადასტრო კოდზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სსიპ საქართველოს საპატრიარქოსთვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი დამტკიცდა

მომხრე - 9 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 9 ბიუროს წევრმა

მ ო ს მ ი ნ ე ს: 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებლად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ.

კახა მსხვილიძე-მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი - მან აღნიშნა, რომ მერიამ მოწონებისათვის წარმოადგინა ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც ფინანსური რესურსის დამატებით გამოყოფის შემთხვევაში შესაძლებელია დაფინანსდეს მიმდინარე წელში. კ. მსხვილიძემ ასევე დასძინა, რომ მიმდინარე წლის ყველა პროექტზე, რომელიც დაფინანსდა რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოცხადდა ტენდერი და უმრავლეს მათგანზე მიმდინარეობს სამუშაოები, რამდენიმე პროექტი წარდგენილია ტენდერებიდან მიღებული ეკონომიის თანხების ათვისებაზე და ბონუს დაფინანსებაზე.

დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ,

ბიურომ გადაწყვიტა:

აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2020 წლის 12 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-9 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 9 ბიუროს წევრი

მ ო ს მ ი ნ ე ს: 2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ წითელხევში 30.13.34.412 საკადასტრო კოდზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სსიპ საქართველოს საპატრიარქოსთვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მირიან ფულარიანი მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი, როგორც მან აღნიშნა საკითხი წინა ბიუროს სხდომაზე მოიხსნა, იმ მიზეზით, რომ კომისიის წევრებმა მოითხოვეს სოფელ წითელხევის მოსახლეობის პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით. მ. ფულარინმა ბიუროს წევრებს წარუდგინა სოფლის მოსახლეობის კრების გადაწყვეტილების ოქმი და ასევე საპატრიარქოს წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ საპატრიარქო უარს ამბობდა 2015 წელს გადაცემული ანალოგიური ფართზე და ტაძრის მშენებლობისათვის ითხოვდა წინა ნაკვეთის მიმდებარედ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ანალოგიური ზომის ფართს.

დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ და აღნიშნა, რომ კომისიის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და შესაძლებელი იყო საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვა.

ბიუროს სხდომამ გადაწყვიტა:

აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2020 წლის 12 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე - 9 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 9 ბიუროს წევრი

ბიუროს სხდომამ გადაწყვიტა:

საკრებულოს სხდომა, რომელიც გაიმართება 2020 წლის 28 თებერვალს 10 საათზე, დღის წესრიგში შეტანილი იქნეს შემდეგი საკითხები:

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ნოდარ გიორგიძე